ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 იანვარი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 5 (10 174) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ამ დღეებში გაიმართა თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭოს სხდომა. სხვა საკითხებთან ერთად აქ იმსჯელეს იმ პოზიციის შესახებ, რომელიც მოსკოვში ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის კონფერენციაზე უნდა დაიკავოს საქართველოს დელეგაციამ. განიხილეს და ერთხმად მოიწონეს კონფერენციაზე საქართველოს დელეგატთა განცხადების შინაარსი. აქვე გთავაზობთ სრულად ამ ტექსტს.

საქართველოს დელეგატთა განცხადება

პატივცემულო დელეგატებო!

გაეცნო რა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ახალი წესდების პროექტს, საქართველოს დელეგაცია აცხადებს:

ჩვენ პრინციპულად არ ვეთანხმებით სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის არსებობას, რამდენადაც იგი ლახავს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, გამორიცხავს რესპუბლიკურ ფედერაციათა დამოუკიდებელი ფუნქციონირების შესაძლებლობას და მათს გაწევრიანებას საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაციაში..

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნით ძირეულად იცვლება დამოკიდებულება სპორტულ ფედერაციათა სტატუსის მიმართ.

ამასთან დაკავშირებით, დემოკრატიულია დამოუკიდებელი რესპუბლიკური საფეხბურთო ფედერაციების ასოციაციის შექმნა ნებაყოფლობით საწყისებზე, რათა თითოეულ ფედერაციას მინიჭებული ექნება უფლება, წარმოადგენდეს თავის რესპუბლიკას ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციებში.

საკავშირო ასოციაციას უნდა წარმოადგენდნენ რესპუბლიკათა ფედერაციების მიერ პარიტეტულ საწყისებზე არჩეული ასოციაციის წევრები, ასოციაციის პრეზიდიუმს კი—რესპუბლიკების ფედერაციათა პრეზიდენტები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სიამოვნებით ითანამშრომლებს მხოლოდ რესპუბლიკურ საფეხბურთო ფედერაციათა შორის ურთიერთობის ასეთი სტრუქტურის ვითარებაში, მით უფრო, რომ ამჟამად ჩვენთან მიმდინარეობს მზადება რესპუბლიკური დამფუძნებელი ყრილობისათვის. ამ ყრილობაზე უნდა შეიქმნას ფეხბურთის დამოუკიდებელი პროფესიული ფედერაცია, რომელსაც ექნება უნარი იყოს რესპუბლიკის წარმომადგენელი საერთაშორისო საფეხბურთო გაერთიანებებში.

რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სრული სუვერენიტეტის გარდაუვალობას განაპირობებს ის მოთხოვნები, რაც აუცილებელია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ მისი აღიარებისათვის.

იქნებ ეს ოყო ოლიმპიელი ჭავჭავაძე?

„ლელომ“ რამდენიმე პუბლიკაცია გამოაქვეყნა პირველი ქართველი სპორტსმენის (მხედრის) 1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის თაობაზე. ცნობილია ამ მონაწილის გვარი — ჭავჭავაძე, მაგრამ ვინ იყო იგი. პიროვნების დასადგენად ძიებაში ჩაებნენ მკვლევარები. რამდენიმე ვარაუდს ადრე გაეცნო ჩვენი მკითხველი. დღეს კი გთავაზობთ ფოტოს, რომლიდანაც ვიგებთ, რომ სურათზე თავადი ს. მ. ჭავჭავაძეა გამოსახული. ეს ფოტო გადმობეჭდილია ჟურნალ „ოგონიოკის“ 1912 წლის ივლისის ერთ-ერთი ნომრიდან. იქნებ სწორედ ეს მამაცი მხედარი იყო ის პირველი ოლიმპიელი, რომლის საოცარი ნახტომიც აუსახავს ფოტოფირზე ხელოვანს.

„ოგონიოკის“ ძველი ნომრები რედაქციაში მოიტანა თბილისელმა გიორგი მაისურაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲔᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲛᲔᲥᲘᲡᲮᲔᲚᲘ

კვებეკი. კანადის ამ ქალაქის თასზე გამართული ტურნირის ნახევარფინალში სსრ კავშირის იუნიორ-ჰოკეისტთა ნაკრები დამარცხდა ადგილობრივ გუნდთან (5:7) და გამოეთიშა ასპარეზობას. მეორე ნახევარფინალში ,ფინელებმა კლუბ „უესტს“ აჯობეს — 6:5. მანამდე საბჭოთა ნაკრებმა სამი მატჩი მოიგო და ერთი, ფინეთის ნაკრებთან, დათმო.

ოგბერიოფი. მოიგურავეთა მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე ლენინგრადელმა იულია ანტიპოვამ მესამე ადგილი დაიკავა. ჯამარჯვება კი გდრ-ის წარმომადგენელს გაბრიელე კოჭლოშს დარჩა. კოჭლოში დაწინაურებულია მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაშიც.

პარიზი. პროფესიონალ ველოსიპედისტთა ექვსდღიან ველორბოლაში მარატ სატიბალდიევი და კონსტანტინე ხრაბცოვი ჯერჯერობით მერვე ადგილზე არიან. მათ აქვთ 121 ქულა და 11 წრით ჩამორჩებიან ლიდერებს — ანდრეას კაპესსა (გფრ) და ეტიენ დე ვილდეს (ბელგია) — 217 ქულა.

მონ-გაბრიელე (კანადა). ფრისტაილში მსოფლიო თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე ელენა ბატალოვამ მეოთხე ადგილი დაიკავა (ბალეტში). გამარჯვება ამ დღეს შვეიცარიელ კონი კისლინგს ხვდა. აკრობატულ ხტომებში უძლიერესი იყო დონა ვეინბრეჰტი (აშშ).



„პოლიტექნიკოსი“ საქართველოს ჩემპიონია

თბილისის ხელბურთის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში ამას წინათ დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ზოოვეტერინარული, სასოფლო-სამეურნეო, ქუთაისის, სოხუმისა და თელავის გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის „პოლიტექნიკოსი“ (მწვრთნელი ჯემალ ბარამიძე) და ზოოვეტერინარული ინსტიტუტის (მწვრთნელი თენგიზ ზარაფიშვილი) გუნდები. მეტოქეებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს. თამაშის ბედი ბოლო წამებში გადაწყდა. ერთი ქულის სხვაობით (27:26) გაიმარჯვა „პოლიტექნიკოსმა“, მესამე ადგილზე გავიდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი (მწვრთნელი რევაზ ჭანტურია). აღსანიშნავია ისიც, რომ წლევანდელ ჩემპიონატში, რომელიც ორ წრედ ჩატარდა, „პოლიტექნიკოსს“ ქულა არ დაუკარგავს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ გუნდმა მიიღო პირველი ლიგის საკავშირო პირველობის გადასასვლელ ტურნირში გამოსვლის უფლება.

ზაზა დოლიძე,
სპორტის ოსტატი.

სურათზე: რესპუბლიკის 1989 წლის ჩემპიონი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელთა გუნდი.

გია ახალაძის ფოტო.

ᲬᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ტრეკზე ველორბოლაში — გიორგი გელაშვილს (თბილისი, „დინამო“);

მძლეოსნობაში — სერგეი დევიატკინს (თბილისი, „დინამო“);

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲨᲘ

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი კ. ბესკოვი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კლუბში მიიწვიეს კონსულტანტად. ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან განთავისუფლდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რ. ძოძუაშვილი. იგი თბილისის „დინამოში“ გადავიდა მწვრთნელად.

მოსკოვის „სპარტაკის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ფ. ნოვიკოვი, რომელიც კარგა ხანს მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა, წლევანდელი სეზონიდან ტაშკენტის „ფახთაქორს“ უხელმძღვანელებს.

ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

სასიამოვნოა, რომ როდესაც თბილისის 55-ე (დირექტორი ო. ლომიძე) და 165-ე (დირექტორი — ნ. კირვალიძე) საშუალო სკოლებს ვეწვიეთ, სპორტულ დარბაზებში ხალისიანი განწყობილება სუფევდა. ბავშვები თამაშობდნენ ფეხბურთს, კალათბურთს...

მართლაც, იშვიათი გულმოდგინე მუშაობაა საჭირო, რომ ბავშვები ისე დააინტერესო, რომ ხალისით ეწვიონ სკოლას არდადეგების დღეებში და რამდენიმე საათი სპორტდარბაზში გაატარონ.

55-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები გიორგი ნასიძე და მიხეილ ლელაშვილი პედაგოგ ა. ნეფარიძეს გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ სამ-ოთხდღიანი ღონისძიებების გაგრძელებას სთხოვდნენ და გულდაწყვეტილნი დარბაზს იმ იმედით ტოვებდნენ, რომ მასწავლებელი მათ თხოვნას შეისმენდა.

ყველა რომ ისე გულმოდგინედ და სიყვარულით ეკიდებოდეს მასწავლებელ დაკისრებულ მოვალეობას, როგორც ანზორ ნეფარიძე და შოთა დარიჯანაშვილი (165-ე სკოლის პედაგოგი), ბევრი საკითხი, რომელთაც ძალით ვაქცევთ ხოლმე პრობლემებად, იოლად და დროულად გადაიჭრებოდა.

ლევან ჯავახიშვილი.

„ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲑᲘ — ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

კალინინგრადში დაიწყო მოსწავლეთა საკავშირო პირველობა, რომელშიც 54 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის არიან ჩვენი თანამემამულენიც: ნინო ხურციძე, ინგა ხურცილავა, ნატო ეჭგვერაძე, ნათია ჯანჯღლავა, თეა ლანჩავა, სოფიკო ნიკოლაძე, დიანა დარჩია, სოფიკო ტერელაძე და ეკა ტაბატაძე.

მასპინძლებმა ყველა პირობა შეგვიქმნეს თამაშისა და დასვენებისათვის.

3 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით დაწინაურდა ანა ხაიროვა. მას ნახევარ- ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ნინო ხურციძე და ინგა ხურცილავა. ეძგვერაძესა და ჯანჯღლავას 2-2 ქულა აქვს, ლანჩავასა და ნიკოლაძეს 1,5-1,5, დარჩიასა და ტაბატაძეს — 1-1, ხოლო ტერელაძემ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველა პარტია წააგო.

ვიორგი სოფერიძე,
დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲓᲐᲜ — ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲐᲛᲓᲔ

„ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

● **სოხუმში** გაიმართა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ აფხაზეთის საოლქო საბჭოს პლენუმი, რომელზედაც შეაჯამეს 1989 წლის მუშაობის შედეგები და დასახეს ახალი წლის ამოცანები.

● **ფიზკულტურის** კოლექტივებში და სპორტულ კლუბებში მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები;

● **ქ. ქერჩინსკში** გაემგზავრა 10 მოცურავე ვაჟი, რომლებიც პროფკავშირთა საკავშირო პირველობაში იასპარეზებენ.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

● **მოსკოვში**, 21 იანვარს, ჩატარდება პირველი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ი. ნეტოს პრიზზე. თბილისელებიდან ამ ტურნირში მიწვევა მიიღეს მ. მესხმა, ს. მეტრეველმა, გ. ჩოხელმა და მ. პირაევმა.

● **საკავშირო** ტურნირში მონაწილეობის მიხაღებად მინსკში გაემგზავრა „დინამოს“ ჭაბუკ წყალბურთელთა გუნდი.

ჰიდაობა ჩვენი, ქართული — გამოხმაურება წერილზე: „საჭიროა მუდმივი კომიტეტი“

დიახ, აუცილებლად საჭიროა!

ეროვნული ბიბლიოთეკ

მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა გაზეთ „ლელოს“ 16 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის „საჭიროა მუდმივი კომიტეტი“ ირგვლივ.

სრული პასუხისმგებლობით, ჰიდაობის ყველა ვეტერანის სახელით შემიძლია განვაცხადო, რომ აუცილებლად საჭიროა დროულად შეიქმნას მუდმივმქმედი კომიტეტი საერთაშორისო ტურნირების ჩასატარებლად და ქართული ჰიდაობის შემდგომი პოპულარიზაციისათვის, რომელიც საქართველოს სპორტსახკომის მესვეურებთან, მისი ჰიდაობის სამმართველოსთან, ქართული ჰიდაობის რესპუბლიკურ და თბილისის ფედერაციებთან ერთად თავდაუზოგავად იბრძოლებს ეროვნული საუნჯის კეთილდღეობისათვის, მის საერთაშორისო არენაზე გასატანად.

საქმეში ჩაუხადავი კაცი იფიქრებს, რომ ქართულ ჰიდაობაში პირველი საერთაშორისო ტურნირის ჩატარება, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში და მომავლის იმედი ჩაგვისახა, იოლი და ადვილი იყო. ძალზე ბევრი დრო, ენერგია, საქმისადმი გულისხმევა და სიყვარული დასჭირდა მის ასე ორგანიზებულად გამართვას. მინდა ისიც ვთქვა, რომ გაზეთში ხსენებული სპონსორების დახმარების გარეშე ტურნირი უფერული იქნებოდა.

ქართული ჰიდაობის მუდმივმოქმედ კომიტეტში უნდა შევიდნენ ისინი, ვისაც გვთავაზობენ აღნიშნულ წერილში, აგრეთვე სპონსორები. უმრავლესობა. შექმნილი კომიტეტი შეიმუშავებს თავის მომავალ სამუშაო გეგმას, დასახავს საჭირო ღონისძიებებს, იზრუნებს სპონსორების მომრავლებაზე და საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად.

მინდა შევჩერდე ერთ მეტად მტკივნეულ საკითხზე, რომლის გარეშე შეუძლებელია ქართული ჰიდაობის აღორძინება-განვითარება.

ქართული ჰიდაობის გულშემატკივრებს ეხსომებათ, ადრე როგორ ხშირად და მაღალ დონეზე იმართებოდა ამხანაგური თუ კალენდარული შეჯიბრებები თბილისის სახელმწიფო ცირკში და ლენინის სახ. დარბაზში, რამდენმა ქართველმა მოჭიდავემ გაიკაფა გზა საერთაშორისო თუ საკავშირო ასპარეზზე. მართალია, ამ ბოლო წლებში ქართულმა ჰიდაობამ თავისი სახე აღიდგინა, რომლის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ყველაფერი ეს იფარგლება სპორტსახკომის ღონისძიებათა კალენდარული შეჯიბრების ჩატარებით.

ქართლ-კახეთში აგრეთვე აშენდა და გაკეთდა შესანიშნავი ღია საჰიდაო არენები და მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობს ტრადიციული შეჯიბრებები: კასპში, ქარელში, ხაშურში, საგარეჯოში, გურჯაანში, გორის რაიონში...

თბილისში კი დღეისთვის არა გვაქვს საკუთარი საჰიდაო ცენტრი, არც ნათხოვარი, რაიმე ღონისძიების ჩასატარებელი ბაზა-დარბაზი. როდემდის შეიძლება ასე სათხოვრად დავდიოდეთ ხან სახელმწიფო ცირკში, ხან — სპორტის სასახლეში, ხან — ბავშვთა კალათბურთის სასახლეში. ქართული ჰიდაობისთვის თბილისში უნდა იყოს ერთი გრანდიოზული დარბაზი, სადაც ხშირად მოეწყობა რაიონებს შორის პირადი თუ გუნდური შეხვედრები, რესპუბლიკის ფინალური და აბსოლუტური შეჯიბრებები და ბოლოს — საერთაშორისო ტურნირები (თუ ამას მივაღწიეთ).

ბოლოს კი კიდევ ვიმეორებ, საჰიროა შეიქმნას მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ჩვენი ეროვნული ჰიდაობის განვითარება-აღორძინებას და მიაღწევს ქართული ჰიდაობის საერთაშორისო არენაზე გატანას, რომელიც ასე ძალიან სჭირდება დღეს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ქართველ ერს.

ქრისტეფორე ნინიაშვილი,
საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი ქართულ ჰიდაობაში.

ეს მხიარული შეჯიბრება ამას წინათ ერთობლივად ჩაატარეს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ და ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა. ახპარეზობაში ნორჩებთან ერთად უფროსებიც მონაწილეობდნენ. იყო მომენტები, როცა ზოგიერთ სახეობაში, მაგალითად, ბაგირის გადაძალვაში, მაყურებლებიც ცდიდნენ ძალას. ახპარეზობას ხაზეიმო ელფერი შემატა მხატვრულ ტანვარჯიშში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების სანვენებელმა გამოსვლებმა.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისადმი

დიდი პოეტის შეხედულებები ფიზიკურ აღზრდაზე

დიდი ქართველი პოეტისა და პუბლიცისტის, რეალისტი მწერლის აკაკი წერეთლის შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ახალგაზრდობის აღზრდის, სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების, ადამიანის ფიზიკური განვითარების საკითხებს. აკაკი წერეთელი ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების მეხოტბეა. იშვიათია მწერალი, რომელიც თავისი გმირების დახასიათებას სისტემატურად მათი ფიზიკური თვისებების გადმოცემით იწყებდეს. ავიღოთ თუნდაც „თორნიკე ერისთავი“. მის წარდგენას მკითხველის წინაშე, პოეტი სწორედ რომ ფიზიკური დახასიათებით იწყებს. გავიხსენოთ როგორი სიდიადით წარსდგება იგი მეფის საკრებულოს წინაშე — „ახოვანი, მშვენიერი, თეთრწვერა და თეთრთმიანი“... ანდა მისი ნათელა პოემიდან „ნათელა“ — „ტანადობა აქვს ალვის ხის და თვალადობა მთვარისა“.

„ტანმაღალი, წელში წვრილი, მხარბეჭიანი სწორედ სასიამოვნო შესახედავი იყო“ — ასე იწყებს მწერალი ბაში-აჩუკის გაცნობას. აქაც წინა პლანზე პიროვნების ფიზიკური სრულყოფაა წამოწეული, ასევე სიტყვებს არ იშურებს პოეტი აბდულშაჰილის გოლიათური პიროვნების წარმოსაჩენად.

აკაკი წერეთელი ბრწყინვალედ იცნობდა ქართულ ხალხურ თამაშებს, რომელთა სცენები მის არაერთ ნაწარმოებშია შეტანილი. ავიღოთ თუნდაც იგივე „ბაში-აჩუკიდან“ მხედართა შეჯიბრების კლასიკური აღწერა, ბაში-აჩუკის და აბდულშაჰილის შეხვედრა საჰიდაო მოედანზე. მხოლოდ ჰიდაობის პროფესიონალ მცოდნეს შეეძლო ასე დეტალურად აეწერა ფალავანთა ორთაბრძოლა არა მარტო ჰიდაობის ფანდების სიუხვით, არამედ თვით ჰიდაობის წესებით და ტერმინოლოგიით. ჰიდაობის შესახებ აკაკის არაერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული და შემთხვევასაც არ გაუშვებდა ხელიდან არ დასწრებოდა, თუ ამის დრო და მიზეზი მიეცემოდა.

ცნობილია, რომ აკაკი დაესწრო კულა გლდანელის და ნესტორ ესეგუას პირველ შერკინებას ბათუმში, რომელიც ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. აღფრთოვანებულმა პოეტმა ლექსი უძღვნა ამ ორთაბრძოლას. რაც შეეხება აკაკის პირად შეხედულებებს ფიზიკურ განვითარებაზე, ეს საკითხი ძირითადად მოცემულია მის მემუარულ ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი“, რომელშიც აღწერილია ფიზიკური აღზრდის და განვითარების სხვადასხვა ხერხი და საშუალება. პირადად აკაკი სპარტანული აღზრდის მომხრე იყო და როგორც აღნიშნავს, ბავშვობაში მასაც ამ სისტემით ზრდიდნენ. „საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ სპარტანულად გვზრდიდნენ. არ გვარიდებდნენ არც სიცივეს, არც დარს და არც ავდარს. დილდილობით ცვრიან ველზე ფეხშიველს უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე გაგვერბინ-გამოგვერბინა“, აკაკის ეცოდება ქალაქელი ბავშვი, რომელიც მოკლებულია ბუნებრივი განვითარების საშუალებებს. მას „ფეხსაცმლები უჭერს და მაზოლები სტანჯავს, გამოსუდრულია ტანსაცმელში, საძრაობა აღარა აქვს, ეუბნებიან: ჭკვიანად იყავ, რაც ჩვენ გირჩიოთ. მხოლოდ ის იკისრე შენცო. იმ საბრალოს ერთი გაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანსამოსი დაისვაროს. იზრდება ბრძანებით მომავალი ჭლექი და მუმია“. („ჩემი თავგადასავალი“).

აკაკი უარყოფითად უყურებდა გიმნასტიკას, როგორც ცალმხრივი განვითარების ხელშემწყობს. „გიმნასტიკაო“ მეტყვით, მაგრამ გიმნასტიკა მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის და სხეულის ჯორჯვა, ბუნებრივია, ეს სიტყვები პოეტის სუბიექტური მოსაზრებიდან გამომდინარეობს და ამტკიცებს იმ აზრს, რომ აკაკი ბუნებრივი ფაქტორებით — მზით, წყლით და ჰაერით ადამიანის გაკაჟებას და განვითარებას ანიჭებდა უპირატესობას, რომლის სიკეთე მან თავისთავზე გამოსცადა და ხანგრძლივი ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა ღრმა ხანდაზმულობამდე შეინარჩუნა.

კოკი ფიფია,
ხსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ზუგდიდი.

სკოლა — საერთო საზრუნავი!

ვიდრე ხელს ჩაიქნევენ...

კოჩარა არა მარტო ოჩამჩირის რაიონის, არამედ საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სოფელია. ამ სოფელში ორი წლის წინათ მწყობრში ჩადგა საშუალო სკოლის შენობა, სადაც ახლა 800-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. სკოლას აქვს ფეხბურთის სარბიელი, ორ-ორი კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი, სპორტდარბაზი.

სამწუხაროდ, მშენებლებსა და სკოლის დირექციას შორის ჯერ კიდევ შენობის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას წარმოიშვა კონფლიქტი. მიმღები მხარე ხელს არ უწერდა, ჩამბარებლებმა კი რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელთა ავტორიტეტი მოიშველიეს. ჰოდა, სკოლის ბოლო სართულს, სახურავის უხარისხობის გამო, ორი წელი აწვიმდა. ამავე მიზეზის გამო შარშან ქარმა სკოლის სახურავზე შიფერი აჰყარა. ზოგი ჭირი მარგებელიაო და საშველად ისევ კოლმეურნეობა მოვიდა — ამ დღეებში სკოლის თუნუქით გადახურვას დაამთავრებენ. ახლა დარბაზი დარჩა თავსატები. აქ იატაკის უხარისხობას მიღების დროსაც ედავებოდნენ მშენებლებს. და რომ სკოლა მართალი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ორ წელიწადში იატაკი ისე დალპა, მეცადინეობის ჩატარება შეუძლებელია. დარბაზს არც ეგრეთწოდებული სველი წერტილები აქვს.

არადა, ამ სკოლაში შვიდი სპორტის ოსტატი აღიზარდა — ხუთი ჰიდაობაში და ორი მაგიდის ჩოგბურთში, კოჩარის სკოლის გუნდები ოჩამჩირის რაიონის თითქმის უცვლელი ჩემპიონები არიან ჰიდაობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში და „მხიარულ სტარტებში“. ოჩამჩირის რაიონის ნაკრები გუნდების 60-70 პროცენტი კოჩარელი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. მაგიდის ჩოგბურთში სკოლის გუნდი რაიონისა და აფხაზეთის ნაკრების სახელით გამოდის. ჩოგბურთელები აფხაზეთის ჩემპიონებიც არიან და საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების პირველობის პრიზიორებიც. კოჩარელი ფეხბურთელი მურთაზ შელია ახლა სავალდებულო სამხედრო სამსახურშია და როსტოვის ასკის გუნდში გამოდის.

წარმატებების გახსენება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. ისევ სკოლის პრობლემებს დავუბრუნდეთ.

სკოლის დირექტორმა პაპუ ხურცილავამ და ფიზიკურზრდის მასწავლებელმა აკაკი გელაშვილმა რაიონის ხელმძღვანელთა კარი, როგორც იტყვიან, აატალახეს, რათა დარბაზის იატაკისთვის ფიცრის ფონდი გამოეყოთ, მაგრამ—უშედეგოდ. მერე საქმეში მოსწავლეთა მშობლები ჩაერივნენ. მათი მრავალრიცხოვანი პროტესტის შედეგად რაიონის ხელმძღვანელობამ თხოვნა დააკმაყოფილა — განათლების განყოფილების კუთვნილი ფიცრის ფონდი კოჩარის სკოლას გადასცეს. ფონდი კი გადასცეს, მაგრამ... აფხაზეთის სატყეო მეურნეობის მუშაკებმა შარშან აგვისტოს შემდეგ ვერ იქნა და ვერ გამოიღეს მოწყალება, ამიტომ არის, რომ კოჩარელი ბავშვები დარსა თუ ავდარში ისევ ღია ცის ქვეშ ატარებენ გაკვეთილებს თუ სხვა მეცადინეობებს, დარბაზის უზარმაზარი შენობა კი უქმად დგას.

სოფელიც, სკოლაც და მისი ფიზკულტურის მასწავლებელიც ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვენ. მათ დროზე უნდა მივხედოთ, თორემ ყველანი ხელს ჩაიქნევენ.

პირიბე გვარლიანი.
„ლელოს“ სპეც. კორ.

სოფ. კოჩარა.
ოჩამჩირის რაიონი.

გასაკეთებელი კვლავ საკმაოდაა

თბილისში მდებარე ასკ-ს სტადიონი რანგით მესამეა „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ შემდეგ. აქ ჩატარებული ბევრი საინტერესო სპორტული ღონისძიება ახსოვთ თბილისელებს. მაგრამ დღეს სტადიონი ის აღარ არის, რაც იყო. თუმცა, შორიდან დავიწყოთ, ხუთი წლის წინ აღნიშნულ სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო, მაგრამ მათს დამთავრებას ბოლო არ უჩანდა. ვინ რას აკეთებდა, არავინ იცოდა. ამ ხნის მანძილზე რამდენიმე ხელმძღვანელი გამოიცვალა, სანამ სტადიონის დირექტორად ძველი „ოდოელი“ ანატოლი ივანოვი არ დანიშნეს. ახალმა ხელმძღვანელმა ერთ სეზონში უფრო მეტი საქმე გააკეთა, ვიდრე მისმა წინამორბედებმა ერთად. სათამაშო მოედანზე ბელტი დაიგო, სარბენი ბილიკი და სტადიონის ეზო მოასფალტდა, გადაიხურა ტრიბუნები, მოპირკეთდა შენობის ფასადი, მოეწყო გასახდელები, საშხაპეები და მშვილდოსნობის სავარჯიშო მოედანი, მაგრამ რემონტის დასრულებას კვლავ საკმაო მუშაობა სჭირდება. გასაკეთებელია სათადარიგო სავარჯიშო მოედანი, საშხაპეები უნდა შეუერთდეს საქვაბეს, მოსაწყობია მძლეოსნობის სექტორი. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც საბოლოო სახეს მისცემს სპორტულ ბაზას.

კიდევ ერთი: სტადიონი თბილისის ძველ უბანშია, ავლაბარში, სადაც სპორტული ბაზებით არცთუ განებივრებულები არიან. ალბათ აჯობებდა, იგი ახლოს მდებარე სკოლების სამსახურში ჩაგვეყენებინა, მით უმეტეს, რომ სტადიონი უმეტესად ცარიელია. ცხადია, ეს გაკეთდება იჯარის წესით, ამით თვით სტადიონის მატერიალურ ბაზასაც განვამტკიცებდით და ახალგაზრდობის ჯანმრთელობის გაკაჟებასაც ხელს შევუწყობდით.

„ლელოს“ კორ.

„სპორტლოტო“

7 იანვარს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის პირველი ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 17 (საციგურაო სპორტი), 22 (წყალში ხტომა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 39 (ბადმინტონი), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (კალათბურთი), 2 (ბიატლონი), 5 (თავისუფალი ჰიდაობა), 8 (ვოლორბოლა, ტრეკი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

ოლეგ დოლმატოვი—

სოხუმის „დინამოს“ ახალი მთავარი მწვრთნელი

სოხუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი, როგორც ცნობილია, 1990 წლიდან ოისპარეზებს საკავშირო გათმაშების პირველ ლიგაში.

მომავალი სეზონისთვის გუნდს მოამზადებენ ახალი ხელმძღვანელები. 6 იანვარს სოხუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭომ მთავარ მწვრთნელად დაამტკიცა წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ოლეგ დოლმატოვი, მწვრთნელებად იმუშავებენ ირაკლი ქოიავა, იური ლოგუა (მწვრთნელი-მეთოდისტი), გუნდის უფროსია ვალერი დელბა, ადმინისტრატორი — აკაკი პაპავა.

ოლეგ ვასილის ძე დოლმატოვი დაიბადა 1948 წელს ქალაქ კრასნოიარსკში. 1967-1971 წლებში თამაშობდა ალმა-ათის „კაირატში“, 1971 წელს დაასახელეს საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში, იმავე წელსვე მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

1972-1979 წლებში ო. დოლმატოვი თამაშობდა მოსკოვის „დინამოში“ ნახევარმცველად, იყო გუნდის კაპიტანი. 1976 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. 1972 წელს იყო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩის მონაწილე. 1971-1977 წლებში გამოდიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, 1972 წელს გუნდთან ერთად გახდა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი.

1980-81 წლებში ო. დოლმატოვი სწავლობდა მოსკოვში მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში, 1982-86 წლებში იყო სტავროპოლის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი, მისი ხელმძღვანელობით გუნდი გადავიდა პირველ ლიგაში. 1986-88 წლებში ო. დოლმატოვი წვრთნიდა მეორე ლიგის გუნდს — მოსკოვის „დინამო-2“-ს. 1989 წელს მუშაობდა „დინამოს“ მოსკოვის საქალაქო საბჭოში.

ო. დოლმატოვმა სოხუმის „დინამოში“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ანატოლი ნორაკიძე, რომლის ხელმძღვანელობით დინამოელები შარშან პირველი ლიგის საგზურს დაეპატრონენ. ა. ნორაკიძის წასვლა გუნდიდან მოულოდნელი არ ყოფილა. მან ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში თხოვნით მიმართა კლუბის საბჭოს პრეზიდიუმს ავადყოფობის გამო გავთავისუფლებინათ იგი მთავარი მწვრთნელის მოვალეობისგან. მისთვის აუცილებელი იყო მკურნალობის კურსის ჩატარება, მაგრამ მან შუა გზაზე არ მიატოვა გუნდი და ბოლომდე მიიყვანა დაწყებული საქმე. ამიერიდან ა. ნორაკიძე გუნდში კონსულტანტად იმუშავებს.

სოხუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭო, ფეხბურთელები, აფხაზეთის ასსრ ფეხბურთის ფედერაცია და სპორტსახკომი, სპორტული საზოგადოებრიობა და გუნდის მრავალრიცხოვანი დაყვანისმცემლები დიდ მადლობას უცხადებენ ა. ნორაკიძეს, ასევე მადლობას იმსახურებს გუნდის ყოფილი უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი გიორგი გრამატიკოპულო, რომელიც 50-იან წლებში გამოდიოდა თბილისის და კიევის „დინამოში“.

დაბოლოს ავღნიშნავთ, რომ გ. გრამატიკოპულო და ა. ნორაკიძე დარჩნენ სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა კლუბის საბჭოს საპატიო წევრებად.

თენგიზ პაჭკორია,
„ლელოს“ კორ.
სოხუმი.

გაიმართა ქართული ფეხბურთის დიდი მოამაგის, წარსულში თბილისის „დინამოს“ მწვრთნელის ა. ჟორდანიას სახელობის თასის ტრადიციული გათამაშება, რომელსაც ლანჩხუთმა უმასპინძლა.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს ადგილობრივი „გურია“-2 და ყვარლის „დურუჯი“ შეხვდნენ. გადამწყვეტ მატჩამდე ამ გუნდებმა დაამარცხეს სენაკის „ეგრისის“ და სიღნაღის „ქიზიყის“ კოლექტივები. საინტერესოდ და დაძაბულად წარმართა ფინალური მატჩი. შეხვედრის პირველი ნახევარი ლანჩხუთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით — 2:0 დამთავრდა. შესვენების შემდეგ „დურუჯის“ მოთამაშეებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და ანგარიშის გათანაბრებაც — 2:2. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ლანჩხუთელთა ახალგაზრდული გუნდი ვერ შესძლებდა ფიზიკურად ძლიერ მეტოქესთან გამკლავებას, მაგრამ მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ კრიზისულ მომენტს თავი დაალწიეს და თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე ა. ნარიაშვილმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა „დურუჯის“ კარში — 3:2. გაიმარჯვა „გურია“-2 და დაეუფლა ა. ჟორდანიას სახელობის თასს.

გამარჯვებულ გუნდს წვრთნის ო. ფირცხალაიშვილი. გაგაცნობთ ა. ჟორდანიას თასის მფლობელი გუნდის შემადგენლობას: მასხულია, წილოსანი, ლორია, კუკულაძე, ა. ნარიაშვილი, იმნაძე, ქურიძე, რ. ნარიაშვილი, კუნჭულია, ჭყონია, მოქია, ჩხაიძე, მეჩეხია, ტუღუში, ხარძეიშვილი, კონონჩენკო.

თენგიზ კუბლაშვილი,
სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს მწვრთნელი.

სურათზე: ა. ჟორდანიას სახელობის თასის მფლობელი ლანჩხუთის „გურია“-2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ჟორდანიას სახელობის თასი— ლანჩხუთელ ფეხბურთელებს

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 7 იანვარი.

„დინამო“ (თბილისი) — ასკ (ალმა-ათა) 64:86 (28:49).

„დინამო“: სანაძე (20), შენგელია (15), დარსაძე (8), ფერიაშვილი (8), უსტიაშვილი (8), ბაქრაძე (5), ტალაბაძე, დაუშვილი, ცხვედიანი.

ასკ: ჟუკანენკო (21), მელეშჩენკო (17), კირილოვი (16), კუზნეცოვი (14), კულაგინი (13), მარიენკო (3), ფილიპოვი (2), ოვჩინიკოვი, ფილიპოვი.

მსაჯები — ო. გორბატოვი (კუიბიშევი) და ა. სმირნოვი (ლენინგრადი).

დუბლშემადგენლობანი: 92:81 (56:42) „დინამოს“ სასარგებლოდ. ცხვედიანი (28), კორძაძე (23); სვირზინსკი (25), დედოვი (20).

• • •

გუშინ...

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა მოიგეს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა — 100:69 (44:48).

სხვა მატჩები

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა 57-ე საკავშირო ჩემპიონატის მოიგი ტურის მატჩები.

ლენინგრადი. ადგილობრივი „სპარტაკი“ შეხვდა გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს ცსკა-ს. გუნდების სატურნირო მდგომარეობა არ გვაძლევდა საბაბს გვეფიქრა, რომ ბრძოლა დაძაბული და საინტერესო იქნებოდა. მაგრამ ნევისპირელმა კალათბურთელებმა მეტოქეს პირველ მატჩში საკმაოდ უსიამოვნო სიურპრიზი შესთავაზეს. შესვენების წინ „სპარტაკი“ წინ იყო 16 ქულით — 53:37. მეორე ტაიმში არმიელებმა ყველაფერი იღონეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ამაოდ. „სპარტაკმა“ გათამაშების ლიდერს ამ სეზონში მეორე დამარცხება აგება — 90:73.

განმეორებით მატჩში ცსკა თავიდანვე მაქსიმალურად მობილიზებული თამაშობდა. ამან გარკვეული ნაყოფი გამოიღო. მოსკოველმა კალათბურთელებმა ბოლოს და ბოლოს აიღეს რევანში, მაგრამ საკმაოდ მძიმე ბრძოლის შემდეგ — 95:92 (44:34).

ვინნაკი. კუნასის „ჟალგირისს“ ბელორუსიის დედაქალაქში ორი მატჩი ჰქონდა რტი-სთან და ორივეში წარმატებას მიაღწია: 89:76 (53:47) და 85:75 (48:39).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 იანვრისთვის

ცსკა	23	21	2	44
ასკ (ალმა-ათა)	21	15	6	36
ვეფ (რიგა)	22	13	9	35
„ჟალგირ.“ (კაუნ.)	23	11	12	34
„დინამო“ (მოსკ.)	20	13	7	33
რტი (მინსკი)	24	9	15	33
„სპარტაკი“ (ლენ.)	24	9	15	33
„ბუდიველნიკი“ (კ.)	20	12	8	32
„კალევი“ (ტალინი)	21	11	10	32
„შახტიორი“ (დონ.)	22	7	15	29
„დინამო“ (თბილისი)	20	8	12	28
„ხტატიბა“ (ვილნ.)	22	2	20	24

ფეხბურთის ახალი ამბები

● **იტალიის** საფეხბურთო ჩემპიონატის გადადებული მატჩი „მილანსა“ და „ვერონას“ შორის ვერ დამთავრდა ძლიერი ნისლის გამო. როცა ანგარიში არც იყო გახსნილი, არბიტრმა ვ. კოპეტელიმ თამაში შეწყვიტა, მსაჯის ამ გადაწყვეტილებამ კი მრავალი პრობლემა წარმოშვა. „მილანის“ გულშემატკივრები უკმაყოფილონი დარჩნენ მსაჯის საქციელით და მუშტი-კრივი გაუმართეს „ვერონას“ მომხრეებს. შედეგი ის გახლავთ, რომ ათეულობით გულშემატკივარი პოლიციაში მოხვდა, ბევრი მაყურებელი საგრძნობლად დაშავდა, არიან დაჭრილებიც.

● **უცხოეთის** პროფესიულ კლუბში სათამაშოდ გაემგზავრა მოსკოვის „ლოკომოტივის“ 28 წლის მცველი ს. გორლუკოვიჩი, რომელმაც კონტრაქტს მოაწერა ხელი დასავლეთ გერმანიის ქალაქ დორტმუნდის „ბორუსიასთან“. ს. გორლუკოვიჩი სსრ კავშირის ნაკრების ძირითადი მოთამაშეა, მის მსგავსად უცხოეთის კლუბებში გამოდიან საბჭოთა ნაკრების წევრები: ვ. ხიდიატულინი, რ. დასაევი, ა. ზავაროვი და ს. ალეინიკოვი.

● **ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა გამოაცხადა, რომ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება, შესარჩევი თამაშები უნდა ჩატარდეს მხოლოდ იმ სტადიონებზე, სადაც დასაჯდომი ადგილებია. იმ სტადიონებზე, სადაც ერთდროულად არის დასაჯდომი და ფეხზე სადგომი ადგილები, ბილეთები გაიყიდება მხოლოდ დასაჯდომ ადგილებზე, სხვა სექტორები კი დაიკეტება.

ბერლინის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წარმატებით გამოვიდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ფეხბურთელები. ბერლინის დახურულ დარბაზში, ჩატარდა მე-19 ტრადიციული ტურნირი. დინამოელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს დასავლეთგერმანიის ქალაქ მიონხენგლადბახის „ბორუსია“ (3:1), ფინალში კი მოუგეს ასევე დასავლეთგერმანიის ბრემენის „ვერდერს“ (5:2). სპარტაკელებმა ქ. კოლნში ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ადგილობრივი „კოლნი“, ფინალში კი სძლიეს ლევერკუზენის „ბაიერ-04“-ს — 7:1.

თითოეულს — 36 ათასი მარკა

მას შემდეგ, რაც გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა გადაწყვიტა მოთამაშეთა დაჯილდოება. ნაკრების თითოეულმა წევრმა მიიღო 36 ათასი მარკა.

გფრ-ის ფედერაციის წინადადება

გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ წინადადება მისცა გდრ-ის ფეხბურთის ფედერაციას მოეწყოს ნაკრებების შეხვედრა 1990 წლის 25 აპრილს დასავლეთ ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე.

როგორც გფრ-ის ნაკრების კაპიტანმა ლოთარ მათეუსმა განაცხადა, ეს იქნებოდა ამ ქვეყნებს შორის დაახლოების ძალზე კარგი დასაწყისი.

„ოქროს ბუცის“ პრეტენდენტები

ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ ჯილდოს, „ოქროს ბუცის“ პრეტენდენტების მდგომარეობა დღეისათვის ასეთია: პირველ ადგილზეა ავსტრიის ნაკრების თავდამსხმელი როდაქსი (ვენის „ადმირა-ვაკერი“). მან 21 მატჩში 24 გოლი გაიტანა. მეორე ადგილზეა სტოიჩკოვი (სოფიის ცსკა) — 19 გოლი 15 თამაშში. შვედმა მაგნუსონმა, რომელიც ლისაბონის „ბენფიკაში“ თამაშობს, და ზამორანომ (შვეიცარიის „სენტ-გალენი“) ოც-ოც მატჩში მიიღეს მონაწილეობა და 17-17 გოლი გაიტანეს, მიხტარსკიმ (სოფიის „ლევსკი-სპარტაკი“) 15 მატჩში — 16 გოლი. შემდეგ მოდიან ბრაზილიელი რომარიო (ჰოლანდიის „პსვ ეინდჰოვენი“), მექსიკელი უგო სანჩესი (მადრიდის „რეალი“) და თურქი თურქილმა ზი (ჟენევის „სერვეტი“), რომლებმაც 14-14 გოლი გაიტანეს.



27 ათასი დოლარი ნატალია ზვერევას

ბრისბენი (ავსტრალია). საბჭოთა კავშირის №1-მა ჩოგბურთელმა ნატალია ზვერევამ პირველად მოიგო პროფესიონალთა ტურნირი. ბოლო ორი წლის მანძილზე იგი ექვსჯერ გამოდიოდა ამგვარი შეჯიბრებების ფინალში, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მიაღწია წარმატებას. სწორედ ამის ფამო უძლიერესთა რეიტინგში მან 27-ე ადგილზე გადაინაცვლა. ახლანდელი გამარჯვება ზვერევას მდგომარეობას, ალბათ, საგრძნობლად გამოასწორებს.

ბრისბენის საერთაშორისო ტურნირის საპრიზო ფონდი 150 ათას დოლარს შეადგენდა. ფინალში ზვერევას წინ აღუდგა ავსტრალიელი რეჩელ მაკმილანი, რომელსაც მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა სიაში მხოლოდ 79-ე ადგილი უკავია. ბრძოლა მეტნაკლებად დაძაბული იყო მხოლოდ პირველ პარტიაში — 6:4. მეორე კი ზვერევამ მშრალი ანგარიშით (6:0) მოიგო.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამარჯვებულმა ჩოგბურთელმა განაცხადა:

— ვგრძნობ, რომ ნელნელა ჩვეულ ფორმას ვიბრუნებ. ეს ძალიან მჭირდება ახლა, ვინაიდან 15 იანვარს მელბურნში იწყება „დიდი მუზარადის“ პირველი ტურნირი — ავსტრალიის ღია ჩემპიონატი.

ბრისბენის ტურნირში გამარჯვებისთვის საბჭოთა ჩოგბურთელმა 27 ათასი დოლარი მიიღო.

მარიტა კოხი ჯერ მოქმედი სპორტსმენია

როგორც ვიუწყებოდით ამერიკის მძლეოსნურმა ჟურნალმა „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსმა“ მარიტა მაიერ-კოხი (გდრ) ბოლო ათწლეულის საუკეთესო მძლეოსნად გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით მსოფლიოს სამგზისა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონს ჟურნალისტებმა ინტერვიუ ჩამოართვეს:

● უკვე სამი წელია, რაც თავი დაანებეთ სპორტს. როგორ აღქვით ამერიკული ჟურნალის გადაწყვეტილება?

— გაკვირვებითა და უდიდესი სიხარულით. ეს ჩემთვის დიდი პატივია. ალბათ გახსოვთ, რომ 1984 წელს ოლიმპიურ თამაშებში გდრ-ის სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ, სეულში კი სტარტზე არ გამოვსულვარ. ამიტომ ბედნიერად ვთვლი თავს, რომ გამიხსენეს.

● სშირად თუ გამოსულხართ ამერიკის შეერთებულ შტატებში?

— ამ ქვეყანაში სულ ერთხელ ვიყავი. აშშ-ის ღია ჩემპიონატის დროს „მედისონ სკვერ გარდენში“ გამოვედი. ეს იყო და ეს. მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესაძლებლობები, როგორც ხედავთ, ამოუწურავია და ჩემი მიღწევების შესახებ ყველაფერი სცოდნიათ შტატებში.

● ვინ შეგატყობინათ ეს სასიამოვნო ამბავი?

— დამირეკა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ ჟურნალისტმა იურგენ ფიშერმა და მითხრა ათწლეულის საუკეთესო მძლეოსნად ხარ დასახელებული. არ დავიჯერე, მაგრამ ფიშერს მადლობა მაინც გადავუხადე. მერე უკვე პრესაში წავიკითხე ცნობა და მივხვდი, რომ ყველაფერი სწორი იყო.

● როგორ მიდის სწავლის საქმე?

— განზრახული მაქვს დავამთავრო სამედიცინო ინსტიტუტის სამი კურსი. მერე კი სპეციალურ კურსებზე გადავალ.

● სპორტს მთლიანად დაანებეთ თავი?

— ჯერ კიდევ მოქმედ სპორტსმენად ვითვლები, ვინაიდან ჩემი მსოფლიო რეკორდი 400 მეტრზე რბენაში (47,60) ურყევად დგას. მერე კი, როცა ამ რეკორდსაც წამართმევენ, სამუდამოდ გამოვეთხოვები მძლეოსნობას.



„ჭადრაკი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაცრი სახეობაა“

გარი კასპაროვის ინტერვიუ ჟურნალ „პლეიბოის“

● პრესაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ დაახლოებით 48 მილიონი საბჭოთა ადამიანის თვიური შემოსავალია 75 მანეთი. ოფიციალური კურსით ეს დაახლოებით მხოლოდ 115 დოლარია, რაც მაინცდა მაინც დიდი „კაპიტალი“ როდია.

— ეტყობა, ასეთი ადამიანების რიცხვი 43 მილიონზე მეტია, რადგან არ შეიძლება თქვენ საბჭოთა სტატისტიკას ენდოთ. მრავალი წლის მანძილზე ხელისუფლება ისე მიეჩვია ციფრების დამახინჯებას, რომ ახლა თვითონაც ვერ შეძლებს ზუსტი მონაცემების მოტანას. ქვეყანაში დიდი ინფლაციაა, მას უდიდესი ვალი აქვს, მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, არ არის ფინანსური მდგომარეობის გაუჯობესების რაიმე პერსპექტივა.

● რა უნდა გაკეთდეს, უცხოური კაპიტალდაბანდებების მოზიდვა?

— არა, უცხოური კაპიტალდაბანდებები საქმეს ვერ უშველის, რადგან ის ამ ქაოსში, უბრალოდ, გაქრება, როგორც წყალი ქვიშაში. ჩვენი ერთადერთი რეალური შანსი ჭეშმარიტი საბაზრო ეკონომიკაა. სამწუხაროდ, ჩვენი ხელმძღვანელობის ფართო წრეები ველოსიპედის გამოგონებას ამჯობინებენ, მათ სურთ მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ საამისოდ მხოლოდ ძველი მეთოდები, ძველი იდეები აქვთ. ახალი აზროვნება, გორბაჩოვმა რომ გამოიმუშავა, ჩვენმა ხელმძღვანელობამ ჯერ ვერ შეითვისა. რაც შეეხება უბრალო ადამიანებს, სისტემის არსმა, რომლის პირობებშიც ისინი 70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ, ჩაკლა მათში ნორმალური აზროვნებისა და მუშაობის უნარი, რაც საჭიროა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

● თქვენ, ანდრეი სახაროვი და საბჭოთა ინტელიგენციის ბევრი სხვა წარმომადგენელი, ჩანს, ხშირად ამყღავნებთ სკეპტიციზმს გორბაჩოვის მიმართ. იგი კი, ეტყობა დღეისათვის დასავლეთში ყველაზე უფრო პოპულარულია. რატომ არ იზიარებთ გორბაჩოვისადმი ასეთ დამოკიდებულებას?

— ჩვენს ქვეყანაში ბევრი ადამიანი იყო გორბაჩოვით აღტაცებული, მაგრამ დღეისათვის მათი აღტაცება რამდენადმე დაცხრა. თუმცა, ისინი ჯერ კიდევ ელიან ცხოვრებაში რაიმე რეალურ ცვლილებას, რაიმე გაუმჯობესებას. მე ვფიქრობ, რომ მისი სახე დასავლეთში მნიშვნელოვანწილად დასავლური პროპაგანდითაა შექმნილი. დასაწყისში თქვენ ძალიან შორს მიდიხართ ერთი გზით, შემდეგ კი უფრო შორს — მეორეთი. პრაქტიკულად კი საშუალო საბჭოთა მოქალაქე ცხოვრების რეალურ გაუმჯობესებას ვერ ხედავს და ვერც იმას საზღვრავს, როგორ გააუმჯობესებს მას მთავრობა.

● მთავრობა ამტკიცებს, რომ იგი სოციალიზმის ხელახალი გააზრების პროცესში იმყოფება.

— დიახ, მაგრამ მთელი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ვალის გადახდის დრო დადგა, ანგარიში უკვე მიღებულია. საბჭოთა ადამიანები ამას არ ელოდნენ. ისინი ილუზიებით ცხოვრობენ, რეალურობას ვერ გრძნობენ, თუმცა, უკვე აღმოაჩინეს, რომ ადრე, თურმე ყველაფერი ისე არ ხდებოდა როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა. მთავრობა ახლა მათ სთხოვს „თუ შეიძლება, დაგვეხმარეთ, იმუშავეთ, თქვენი სამუშაო ისე შესასრულეთ, როგორც საჭიროა“. მაგრამ ყველაფერი ეს ლოზუნგებია, ლოზუნგებს კი უკვე აღარ შეუძლიათ გაჭრან. ჩვენ გვჭირდება ცვლილებები, თანაც რეალური ცვლილებები. დღევანდელი სისტემა სახიფათოა არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი დანარჩენი მსოფლიოსათვისაც. გარდაქმნა მთელი მსოფლიოსათვისაა მნიშვნელოვანი.

● საბჭოთა მოქალაქისათვის, საზოგადოებრიობის თვალში თქვენ მკვეთრ, რადიკალურ თვალსაზრისსაც კი გამოთქვამთ პოლიტიკური სისტემის შესახებ. გიფიქრიათ თუ არა ოდესმე იმაზე, რომ პოლიტიკისთვის მოგეკიდათ ხელი?

— გარკვეული გაგებით, მე მას უკვე მივყავი ხელი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ მეკისრება მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესების მისია, რადგან საბჭოთა სისტემის გაუმჯობესებას მსოფლიოს დანარჩენი ნაწილისათვის მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მე შემძლია ხელი შევუწყო დასავლეთთან ახალი საქმიანი ურთიერთობების დამყარებას, ჩემს ხალხს დემოკრატიის გრძნობა ჩავუნერგო, ამის მაგალითი მივცე. მე ვცდილობ, ადამიანებს იმედის გრძნობა გავუღვივო, მათ ჩემთან ერთად ბრძოლისკენ ვუბიძგო.

● თქვენ ისეთ იდეებს ქადაგებთ, რის გულისთვისაც სულ რამდენიმე წლის წინ დაგაპატიმრებდნენ და ადგილს გულაგში მიგიჩენდნენ.

— დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით. ბედნიერი ვარ იმით, ასეთ კარგ დროს რომ დავიბადე. ისინი, რომელთაც იმის გაკეთება სურდათ, რასაც ახლა მე ვაკეთებ, მოკვდნენ ან მოკლეს, მაგრამ მე გამიკაფეს გზა. ეს მისია მე დამეკისრა.

● შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირში მრავალპარტიული სისტემის შექმნა?

— ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მაგრამ იგი მისაღწევად არც ისე იოლია. ახლა შესაძლოა, ყველაზე რეალური იქნებოდა პარტიის ორ ნაწილად გაყოფა: ლიბერალურად და კონსერვატულად. ჩვენ ასე სწრაფად ვერ მივალთ მრავალპარტიულ სისტემამდე, თუმცა ამ შესაძლებლობას არ გამოვრიცხავ.

● თქვენ ლაპარაკობთ, როგორც პოლიტიკოსი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამავე დროს კარგი ბიზნესმენიც ხართ. გაქვთ თუ არა რაიმე იდეები მომავალი საქმიანი პროექტების შესახებ?

— რა თქმა უნდა. ჩვენს ქვეყანაში მათი წაჰოყენება ძნელი როდია, მითუმეტეს, რომ შესაძლებლობები ზედაპირზევე ჩანს, მხოლოდ მათი არჩევაა საჭირო. თუ თქვენ საიმედო კავშირი გაქვთ დასავლეთის საქმიან წრეებთან, იოლად შეგიძლიათ ხიდის გადება. მაგრამ ფრთხილად უნდა იყოთ, ეს მეტად სპეციფიკური რგოლია ბიზნესის წარმოებისათვის. ერთხელ თავში ასეთი იდეა მომივიდა: რატომ არ მივყიდით იაპონელებს კურილის კუნძულებს? გულახდილად უნდა გითხრათ, მე დარწმუნებული არცა ვარ, რომ ეს კუნძულები ჩვენ გვეკუთვნის და იაპონელები, რომლებიც მათზე აცხადებენ პრეტენზიას, მრავალ მილიარდ დოლარს გადაიხდიან! ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემდა გვეარსება 5 ან 10 წელი. შემდეგ, ჩვენ შეგვეძლო ჩინეთისათვის მონოლოლეთი მიგვეყიდა და კიდევ რამდენიმე წლით ვიქნებოდით უზრუნველყოფილი. ყველაზე კარგი გარიგება კი იქნებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დათმობა. ეს მთელ ქონებას მოგვიტანდა.

● მიგაჩნიათ თუ არა, რომ საბჭოთა კავშირი და ამერიკა საბოლოო ანგარიშით შეიძლება გარკვეულ ურთიერთგაგებამდე მივიდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის თვალსაზრისით?

— ამის იმედი მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ იქამდე ძალზე გრძელი და რთული გზა გვაქვს გასავლელი. ჩვენი ქვეყანა არ არის მზად იმისათვის, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით, რეალური პარტნიორი გახდეს, ძალზე ძველმოდურია და ყველაფერს ზანტად აკეთებს. იგი ძილის მოყვარულია და დასავლეთისა ძალიან შურს, 70 წლის მანძილზე არასწორი მიმართულებით მიდიოდა.

● სახიფათოა თუ არა დასავლეთისათვის განიარაღება?

— დარწმუნებული არა ვარ. დასავლეთში უნდა ახსოვდეთ, რომ კომუნისტურ ქვეყნებში ბევრმა ადამიანმა გამოიღვიძა და დასავლეთის ფასეულობებისა სჯერა — მაგრამ მეორე მხრივ, სისტემა აქ განადგურებული არ არის. ბიუროკრატიას წარმოუდგენელი ძალა გაჩნია. ჯერ კიდევ გაბატონებულნი არიან სამხედროები, რომლებიც მსოფლიოს დანარჩენი ნაწილებისათვის საშიშროებას წარმოადგენენ. სისტემის ბევრი ელემენტი მზად არის ნებისმიერ ავანტიურაზე წავიდეს, თუკი მიიჩნევს, რომ ეს მის ინტერესებს შეესაბამება.

● საბჭოთა კავშირში ოდესმე ვინმე თვლიდა, რომ დასავლეთი შეიძლება შეიჭრას მის ქვეყანაში?

— ეს ახლაც სჯერა ბევრ ადამიანს. ეს აბსოლუტურად გიჟური იდეაა, თუმცა ამის დასამტკიცებლად, თქვენ მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ცხოვრების დონე უნდა შეადაროთ ერთმანეთს. რაში სჭირდება ქვეყანას, სადაც ადამიანები ასე კარგად ცხოვრობენ, შეიჭრას რომელიმე სხვა ქვეყანაში?

● ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, ეროვნულ საკითხზე. არის თუ არა საბჭოთა კავშირში ეკოლოგიური გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემები?

— გაჭუჭყიანება არა მარტო მწვავე პრობლემაა, არამედ ყველა შესაძლებელ პრობლემათაგან უდიდესი. უკვე გავაჭუჭყიანეთ და უვარგისი გავხადეთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მილიონობით კვადრატული კილომეტრი. ეს მით უმეტეს დასანანია, რომ ადამიანებმა ამის შესახებ წინასწარ იცოდნენ, ბევრი ამაზე ლაპარაკობდა კიდეც. ისინი მთავრობას სთხოვდნენ შეეწყვიტათ გაჭუჭყიანება. მაგრამ არაფერი შეიცვალა. ხელისუფლება ჩვენს მომავალზე, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებზე არ ზრუნავს. ჩერნობილის ტრაგედიაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, გავაჭუჭყიანეთ შავი, არალისა და აზოვის ზღვები. კასპიის ზღვაც კი გასაპირში აღმოჩნდა. ხელისუფლება არ კისრულობს პასუხისმგებლობას მომავალზე. იგი მხოლოდ დღიდან დღემდე ცხოვრობს, მდგომარეობა კი თანდათან კატასტროფული ხდება.

● რა შეგიძლიათ თქვათ საკუთარ მომავალზე? ბუნებრივია, გელით მატჩები, ტურნირები, ერთდროული თამაშის სეანსები. გაქვთ თუ არა რაიმე სხვა გეგმებიც?

— ჩემს გეგმათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ჩემი საჭადრაკო უნივერსიტეტი. მე მას ესპანელ ხელისუფლებთან თანამშრომლობით ვქმნი. პალმა-დე-მალიორკაში ბალეარის კუნძულებზე. ჩვენი მიზანია მთელ მსოფლიოში შევკრიბოთ ნიჭიერი ყმაწვილები 10-დან 16 წლის ასაკამდე, ვასწავლოთ, საუკეთესო მწვრთნელები შევურჩიოთ. პირველი ჯგუფი 1990 წლის თებერვალში შეიკრიბება. უკვე გვაქვს შენობა. ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან სპონსორები მოვიზიდოთ, რათა სწავლის ხარჯები შევამციროთ.

● ეს კიდევ ერთი ნაწილია ჭადრაკის პროპაგანდის და ინტერნაციონალიზაციის თქვენი ვრცელი გეგმისა. ბობი ფიშერს ჭადრაკის პროფესიონალიზმის თქვენი იდეების მსგავსი გეგმები ჰქონდა?

— დიახ, ფიშერმა გზა გვიჩვენა, მე კი მის იდეებს ვაგრძელებ. შესაძლოა, 70-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო ჭადრაკის ავტორიტეტის ამაღლებისაკენ სწრაფვა. ახლა ახალი დრო დადგა, ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჭადრაკის პოპულარიზაციას.

● გარი, შეიძლება ითქვას, რომ თქვენ კაპიტალისტად ხართ დაბადებული?

— დიახ, შეიძლება, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის საკუთრებაა. უბრალოდ, ასეთია ადამიანის ბუნება.

● თქვენი იდეები სპორტის სხვა სახეობაზე, სხვა საბჭოთა სპორტსმენებზეც ვრცელდება?

— დიახ. საბჭოთა სპორტსმენები ყოველთვის იყვნენ საბჭოთა სპორტკომიტეტის მონები. კომიტეტი მათ უცხადებდა, სად და როდის უნდა ეთამაშათ, გამომუშავებული თანხა კი უშუალოდ კომიტეტს გადაერიცხებოდა. ბრძოლა მოჭადრაკეებისათვის კი არ დავიწყე, არამედ ყველა საბჭოთა სპორტსმენისათვის. პირველი საბჭოთა სპორტსმენი ვიყავი, ვინც საჯაროდ გაანაცხადა, რომ ურთიერთობას წყვეტს ამ კომიტეტთან და მოითხოვს საბჭოთა სპორტსმენებისათვის პროფესიონალური სტატუსის შემოღებას. ხელისუფლებას ეს არ მოეწონა. ზოგმა მაღალი მდგომარეობის პირმა მიჩივლა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ამასთანავე იწინასწარმეტყველა, რომ თუკი ყველაფერი ასე გაგრძელდა, კასპაროვი, ეტყობა, მომავალში საბჭოთა სპორტსმენების გაყიდვასაც დაიწყებსო. დღეს მე ძალზე ბედნიერი ვარ, რომ ეს გავაკეთე.

● თქვენ ის გაქვთ მხედველობაში, რომ სხვა საბჭოთა სპორტსმენებს ყიდით? გარკვეული გაგებით, შუამავლის როლში გამოდიხართ?

— არა, ამაში მე არ ვმონაწილეობ. მაგრამ, როცა სპორტსმენები ჩემთან მოდიან რჩევის საკითხავად, შემიძლია მათ რეალური ინფორმაცია მივცე, რადგანაც კარგად ვიცნობ დასავლეთს და ბევრი კონტაქტიც მაქვს. მაგალითად, შემიძლია დავეხმარო მათ მენეჯერების მონახვაში. ახლა ჩვენმა ორმა საუკეთესო ჩოგბურთელმა — ანდრეი ჩესნოკოვმა და ნატალია ზვერევამ ხელი მოაწერეს კონტრაქტს პროსერვის ფირმასთან. სლავა ფეტისოვმა კი, რომელიც ჩვენი ჰოკეისტების ეროვნული ნაკრების კაპიტანი იყო, „ნიუ-ჯერსი დევილის“ გუნდში დაიწყო თამაში. მახსენდება ჩემი საუბარი „დევილის“ გუნდის გენერალურ მენეჯერ დუ ლამორიელსთან. როცა მასთან ოფისში მივედი და, ყველაფერ ამაზე ვესაუბრე, მან ბოლომდე ვერც კი გაიგო, რატომ ვიბრძოდი ფეტისოვისთვის. ამ გარიგებისათვის არავითარი თანხა არ მომიღია, მაგრამ იმიტომ ვიღაწოდი, რომ სლავასთვის და სხვებისთვის ქვეყნიდან გამგზავრების საშუალება მიმეცა და ისინი თავისუფალნი გამხდარიყვნენ. როცა რომელიმე ცხობილი კაცი, მისი მსგავსი, სისტემას ტოვებს და ამას ყველა ხედავს, ეს საბჭოთა ადამიანებს ეხმარება დახშულ წრეზე წარმოდგენის დასაროვვად. თვითეული ადამიანის უმნიშვნელოვანესი უფლებაა არჩევის თავისუფლება. აი სწორედ ამისათვის ვიბრძვი ჩვენს სპორტსმენებთან ერთად. საბჭოთა კავშირში სპორტის ყველა სახეობა მთლიანად პოლიტიკურ ცხოვრებას ექვემდებარებოდა. ეს იყო საფუძველი ყოველივე იმისა, რაც საბჭოთა კავშირში ხდება. მე ვშიშობ, რომ კონფლიქტი სისტემასა და ნიჭიერ პიროვნებას შორის ჯერაც არ არის გადაწყვეტილი.

● ამრიგად, ჭადრაკი კასპაროვისთვის ჯერ კიდევ ყველაფერი როდია? ჭადრაკი მხოლოდ ინსტრუმენტია, იარაღია, რომელსაც იყენებთ თქვენს გაცილებით უფრო ფართო ბრძოლაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებისათვის, იმისათვის, რასაც თქვენ ნორმალურ ცხოვრებას ეძახით.

— აბსოლუტურად სწორია, ბოლოს და ბოლოს თქვენ მე გამიგეთ.

„სპიდრაკო გლობუსი“ (მოსკოვი), № 44-48.

ტუუილი და მართალი?

მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა ინტერესით ადევნებს თვალს პოპულარული ავტორიალის პარიზ-დაკარის მსვლელობას, რომლის მონაწილეებმა ეს-ეს არის გადაკვეთეს ნიგერიის საზღვრები და ახლა ჩადის ტერიტორიაზე ასპარეზობენ.

რბოლას ლიდერობს ფინელი არი ვატანენი („პეჟოს“ გუნდი), რომელმაც ამ ეტაპზე თავის უახლოეს მდევარსა და თანაგუნდელს შვედ ბიორნ ვალდენგარდს კიდევ 47 წუთი მოუგო.

499 კილომეტრიან ეტაპზე ბელგიელი ჯეკი იქსი, რომელიც „ლადას“ მართავს მეათე იყო. აბსოლუტურ ჩათვლაში მან მეორმოცე ადგილზე გადაინაცვლა. მისი თანაგუნდელი ჟერომ რივიერი ჯერჯერობით ოცდამეშვიდეა.

ერთმანეთის საწინააღმდეგო, გამომრიცხავი ცნობები მოდის სატვირთო ავტომანქანების შეჯიბრების შესახებ, რომლებშიც საბჭოთა „კამაზებიც“ მონაწილეობენ. საქმე ის გახლავთ, რომ რბოლას საბჭოთა ჟურნალისტები არ ესწრებიან. ჩვენი ინფორმაციის საშუალებები ცნობების მიღებას სავაჭრო წარმომადგენლობის არხებით აპირებდნენ, მაგრამ ეს არხი ვერაფრით ვერ ამოქმედდა.

ცნობილი გახდა, რომ მეოთხე ეტაპის შემდეგ ვლადიმერ მარჩენკოვი 204-ე, ალექსანდრე არტემენკო კი 229-ე ადგილებზე იმყოფებოდნენ. მეხუთე ეტაპის შემდეგ ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპამ“ გაკვრით აღნიშნა, რომ სამივე საბჭოთა მანქანა რბოლას გამოეთიშაო, მაგრამ ხუთშაბათს დაიბეჭდა ახალი ცნობა იმის შესახებ, რომ მარჩენკოვმა 183-ე ადგილზე გადაინაცვლა, სად არის აქ ტუუილი და მართალი ძნელი სათქმელია.

ფავორიტების მონაწილეობით

პროფესიონალ ველოსიპედისტთა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რბოლა „ჯირო დ‘ იტალია“ წლეულს საგანგებო ვითარებაში ჩატარდება. იგი თავისებური პრელუდია იქნება ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატისა და დამთავრდება ტურნირის დაწყებამდე 2 დღით ადრე მილანში.

როგორც 73-ე რბოლის დირექტორმა ვინჩენცო ტორიანიმ განაცხადა, წლევანდელი შეჯიბრების პროგრამაში, ბევრი სიახლეა შეტანილი. მათ შორის უმთავრესი იქნება ორი: ამჯერად ველოსიპედისტებს ასპარეზობებზე დასვენების დღე არ ექნებათ, ხოლო ყოველი ეტაპის 90-ე კილომეტრზე გამარჯვებული სპეციალურ პრიზს მიიღებს, სულ „ჯირო დ‘ იტალიის“ საპრიზო ფონდი 600 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს.

ამ რბოლაში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს მთავარმა ფავორიტებმა — ამერიკელმა გრეგ ლემონდმა და ფრანგმა ლორან ფინიონმა. პირველი ეტაპის სტარტი შედგება ბარიში, 18 მაისს.

„სპორტპროგნოზი“

I ტირაჟის შედეგები
(6-7 იანვარი)

1—1, 2—2, 3—1, 4—1, 5—2, 6—1, 7—X, 8—X, 9—1, 10—2, 11—X, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს, მესამე წყვილის შედეგი, თამაშის გადატანასთან დაკავშირებით ,განსაზღვრულია წილისყრით.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 1, 2, 3, 4. წერილი დაიბეჭდა უმნიშვნელო შემცირებით.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივნო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, „მერანი“ — 98-97-26, „მართვე“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საკავშირო კორპუსში: ბოშარიულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08701.